ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №026/3

ქ. თბილისი 24 სექტემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან სანაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **შპს "სერვის ცენტრი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ზავრადაშვილის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ავტო-სატრანსპორტო საშუალების (ევაკუატორით) გადაზიდვა-გადატვირთვის მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი: 50110000) შემდგომში – მომსახურება.

1.2. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის საკუთრებაში არსებული ავტომობილ ჰიუნდაის (სარეგისტრაციო ნომერი - LOTTO) გადაზიდვა-გადატვირთვას "რუსთაველი 2-ის ოფისი - ქავთარაძის სამმართველო" მიმართულებით, ჯამში 5 კმ.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ავტო-სატრანსპორტო საშუალების გადაზიდვა-გადატვირთვის 1 კმ-ის ღირებულება შეადგენს 2,50 (ორი და ორმოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

2.2. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ევაკუატორის გამოძახების ერთჯერადი ღირებულებაა 12,00 (თორმეტი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 24,50 (ოცდაოთხი და ორმოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" ადმინისტრაციული შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის, ტრანსპორტის ოფიცერი - პავლე ქალიაშვილი.

4.2. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: საქართველო.
5.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.5. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.6. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შპს „საქართველოს ლატვიის კომპანიის" ადმინისტრაციული შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის, ტრანსპორტის ოფიცერი - პავლე ქალიაშვილი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 24 სექტემბრიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 ოქტომბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს"

12. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია"	შპს "სერვის ცენტრი"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34	მის: ქ. თბილისი, გლდანის „ა" მ/რ, კ-59, ბ. 47
ს/კ 204568208	ს/კ 200110968
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკი: სს "პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა GE28LB0113121375356003	ა/ა GE88PC0263600100010187
---	---
გენერალური დირექტორი	დირექტორი
ლევან სანაძე	გიორგი ზავრანაშვილი